ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/11

29 ივლისი, 2022 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო: 12:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 14:15 საათზე.

სხდომას საკრებულოს 21 წევრიდან 17 ესწრებოდა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/11 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 ივლისი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის №01-06/11 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. **ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის მეორე კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.**

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. **მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული (სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული) ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში.**

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ მომხსენებელმა ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ შემოსული იყო კიდევ ორი საკითხი:

„„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის

მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ითხოვა ბიუროზე დამტკიცებულ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში დაემატებინათ აღნიშნული საკითხები, რის შემდეგ წარმოადგინა №01-06/11 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ' ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

2. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის მეორე კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული (სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული) ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის,
ახალგაზრდულ საკითხთა და
ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი: გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ წინადადებით მიმართა მომხსენებელს წარმოდგენილი ორი საკითხი შემდეგი სხდომისთვის განეხილათ, რათა უკეთ გაცნობოდა.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ აღნიშნული ორი საკითხის დღის წესრიგში შეტანა იყო აუცილებელი, რადგანაც მომდევნო მორიგი სხდომა გაიმართებოდა 2022 წლის 26 აგვისტოს.

შემდეგ კენჭი უყარა განახლებული დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 3 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე და გოჩა ჟღენტი)

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის №01-06/11 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით სირაბიძემ და აღნიშნა, რომ ერთი თვის წინ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-მ მიმართა მუნიციპალიტეტის მერს მოეწოდებინათ საჯარო ინფორმაცია, ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ პირთა სახელობითი სიისა და ამავე პირთა მიერ დაკავებული თანამდებობების/პოზიციების შესახებ. ასევე, ითხოვა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა სახელობითი სია. თუმცა, საპასუხოდ მიიღო უარი არსებული ინფორმაციის მიღებაზე, რადგან ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი არ იძლეოდა ამის საშუალებას. დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა სხდომის თავმჯდომარეს იყო თუ არა სამართლიანი მერის მხრიდან ასეთი პასუხი? მაშინ როდესაც ანალოგიური ინფორმაციის გამოთხოვა მოხერხდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული საჯარო მოხელეების შესახებ. ასევე მოითხოვა საკრებულოში მერის ყოველწლიური ანგარიშის წარმოდგენა კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

კითხვებთან დაკავშირებით მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ განმარტა, რომ საჯარო მოხელეთა პერსონალური ინფორმაციის გაცემა კანონით აკრძალულია და აქვე აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდა.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ გააკეთა განცხადება და სთხოვა საკრებულოს წევრებს გაეწიათ დახმარება დაბა ქედაში მდებარე მოსაცდელზე მოაჯირების მოწყობასთან დაკავშირებით, რადგან უამინდობის დროს ძალიან რთულია იქ გაჩერება, ასევე აღნიშნა, რომ სოფელ წონიარისში სწრაფი ტემპით და კარგად მიმდინარეობს ბათუმი-ახალციხის ცენტრალური გზის მოასფალტება, რომელსაც აწარმოებს შპს ,,ბონდი“, მაგრამ საჭიროა პროექტში ცვლილების

შეტანა, რადგანაც მოსახვევებზე დაგებული ასფალტი არის ვიწრო, რაც ავარიულ სიტუაციებს ქმნის.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ დაბა ქედაში არსებული მოსაცდელის მოაჯირების გაკეთებასთან დაკავშირებით უნდა იქნეს შემოტანილი განცხადება მოქალაქეების მიერ, რათა მოხდეს მერიის მხრიდან შესაბამისი რეაგირება. რაც შეეხება სოფელ წონისრიში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროეტში ცვლილების შეტანის საკითხს, განმარტა რომ პროექტს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებდა და მასში ცვლილების შეტანას მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებს.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წერილის N95-95222101, 29.07.2022 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად, მოხდება დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რითაც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სახელფასო კოეფიციენტი განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის მე-6 სვეტით განსაზღვრული კოეფიციენტებით, ხოლო I და II რანგის საჯარო მოხელეების მე-5 სვეტით განსაზღვრული კოეფიციენტებით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ იკითხა, რატომ არ იქნა გათვალისწინებული გასული წლის დეკემბრის თვეში საკრებულოს აპარატის ყველა თანამშრომლის თანამდებობრივი სარგოს მომატება და რატომ განიხილება საკითხი ეხლა.

ამირან ცინცაძემ აღნიშნა, რომ თანამდებობრივი სარგოს მომატება საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეებზე ერთგვარი წახალისება და მოტივაციაც იყო, რაც შეეხება დეკემბრის თვეში ოთხ პროფესიულ საჯარო მოხელეზე (სპეციალიტებზე) ხელფასის მატება გამოიწვეული იყო არსებული თანამდებობრივი სარგოს დადგენილების სამართლებრივი ხასიათის შესწორების გამო.

(12:20 საათზე სხდომას შეუერთდა შორენა კარანაძე).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება: N:95.95222101)

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95221891-95, 08.07.2022 წელი), და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, მიმდინარე წელში შერჩეული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა აგარაში და ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ის ოჯახები რომლებიც გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად, სტიქიური მოვლენების გამო, ექვემდებარებიან ადგილმონაცვლეობას. კომისიამ, დადგენილი წესის მიხედვით, უზრუნველყო საცხოვრებელი ფართების 20 (ოცი) ოჯახზე განაწილება. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროება მოითხოვს საცხოვრებელი ბინის ფართების გადაცემა შერჩეულ ოჯახებზე განხორციელდეს უსასყიდლოდ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და აქედან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა შუამდგომლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან ზემოთ აღნიშნული საცხოვრებელი ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულ, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისში მდებარე 2879 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.02.32.300) არსებულ სოციალური სახლში (N01/5 - 2393.1 კვ.მ. საერთო ფართი) რეგისტრირებული 20 (ოცი) ბინა, შემდგომში მათი ეკომიგრანტ ოჯახებზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, იყო თუ არა საცხოვრებელი სახლი ელექტროენერგიითა და წყლით უზრუნველყოფილი.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარემ დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს შპს ,,სპაჯი"-ს მიერ სამუშაოების შესრულებულ 101 პროცენტთან დაკავშირებით. ასევე დაინტერესდა მოქალაქე თამაზ თებიძეს გეოლოგიური დასკვნის არქონის გამო რატომ ეთქვა უარი საცხოვრებელი ფართის მიღებაზე, აღნიშნა რომ კარგი იქნებოდა მეტი დრო მიეცათ შესაბამის კომისიას მოქალაქეებისათვის დოკუმენტების მოსაწესრიგებლად. აქვე იკითხა, შესაბამისი კომისიის მეხუთე სხდომის შესახებ სადაც, სოფელ აგარის მოსახლეობის საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების შემდეგომ შეირჩეოდა მუნიციპალიტეტში არსებული მოქალაქეები ვინც საჭიროებდა საცხოვრებელი ფართის მიღებას, თუმცა კომისიის მხრიდან დამატებით ვადა არ იყო გამოყოფილი განცხადებების მიღებისა და მხოლოდ ოთხი განცხადება იყო შემოტანილი განსახილველად.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ მოქალაქე თამაზ თებიძეზე უარის თქმის ერთერთი საფუძველი გეოლოგიური დასკვნა იყო, თუმცა ამ ოჯახს 9 აპრილის ქუჩაზე მუნიციპალიტეტმა საცხოვრებელი ფართი წლების წინ გადასცა. კომისიის მიერ მეხუთ სხდომასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ კომისიას ქონდა წესი შემუშავებული, რის საფუძველზეც იყო განსაზღვრული საკითხების განხილვის განრიგი და რესურსის არსებობის შემთხვევაში როგორ ემოქმედათ და განეხილათ. ცალკე დამატებითი ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კომისიის მუშაობა წესით

რეგულირდებოდა და ვადების გადაწევა არ შეიძლებოდა, არსებული კითხვები შესაძლებელია კომისიის საქმიანობის ანგარიშის განხილვისას დაისვას, რომელიც ქონების გადაცემის საკითხთან კავშირი არ არის.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: N:გ-95.95222105)

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95222004-95, 19.07.2022 წელი) და განმარტა რომ, მიმდინარე წლის 18 ივლისს ჩატრდა ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ა(ა)იპ „განვითარების ტალღა"-ს მიერ 2022 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში მოწოდებული იდეების კენჭისყრის შედეგები, შესაბამისი დოკუმენტები და ოქმები. საბჭოს გადაწყვეტილებით, გამოვლენილა გამარჯვებული იდეები, რომლებიც მიზანშეწონილია განხორციელდებს მიმდინარე წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში. წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხა და განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი იქნა შესაბამისი პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობას თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, იყო თუ არა ისეთი პროექტები, რომელიც 2019-2020 წლებში არ განხორცილედა. ასევე, რატომ გახდა საჭირო დაბა ქედაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროეტის განსახორციელებლად თანხის დამატება, როცა 150 000 ლარად იყო დასაწყისში შეფასებული მისი მშენებლობა. აქვე მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს ამირან ცინცაძეს მიუხედავად საარჩევნო პერიოდისა, მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ბევრი კარგი პროექტის განხორციელებისათვის.

მომხსენებელმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 4900 მოქალაქემ მიიღო, სულ გაიმარჯვა 72 პროექტმა, აქედან არის ისეთი სოფლები სადაც 1-ზე მეტი პროექტი არის გამარჯვებული, რაც შეეხება 2019-2020 წლებში განსახორციელებელ პროექტებს, განმარტა რომ 2019 წელს დაგეგმილ სოფელ ჭალახმელაში, მდინარის ხეობაში უნდა განხორციელებულიყო ნაპირსამაგრი სამუშაოები, ასევე დაბა ქედაში იყო სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტი, რომლის ტენდერიც სამჯერ ჩავადა და ვერ განხორციელდა. აქედან გამომდინარე სულ 15 პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა, ვინაიდან იმ

პერიოდში ბაზარზე ფასების მკვეთრი ცვლილებების შედეგად შეუძლებელი გახდა არსებულ რესურსებში პროექტების განხორციელება, შემდეგ საარჩევნო პერიოდი იყო, რის გამოც ბიუჯეტში თანხების დამატება კანონით იყო შეზღუდული და იმ პერიოდისათვის მუნიციპალიტეტის მხრიდან ვერ მოხერხდა აღნიშნულ პროექტებზე თანხის დამატება. აქვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტები მოგვიანებით იქნება შესრულებული, რაც შეეხება დაბის ტერიტორიაზე სპორტულ გამაჯანსაღებელი პროექტის განხორციელებას, თავდაპირველად პროექტში მოთხოვნილი იყო შენობის აშენება, პროექტის ავტორებთან შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ წარმოდგენილი პროექტის განსახორციელებლად ბევრად მეტი თანხა იყო საჭირო, რომელიც მომავალ წლებში აუცილებალად განხორციელდება.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 3 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე და შორენა კარანაძე) ;

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: N:გ-95.95222104)

4. მოისმინეს: ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის მეორე კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის მეორე კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი №12-95222011-95, 20.07.2022 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აცნობა, რომ საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია 2 (ორი) სამშენებლო ნებართვა. კერძოდ, სოფელ ქედაში ლია პეტრიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საქონლის ფერმის დანიშნულების ახალი ერთსართულიანი შენობის მშენებლობაზე, სოფელ გუნდაურში შპს ,,გოგორა"-ს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ,,ერთსართულიანი ხის სათამაშოებისა და საბავშვო ავეჯის მცირე ზომის საამქროს მშენებლობებზე. სამშენებლო სამართალდარღვევის გამო 2 (ორი) ფიზიკური პირი უნებართვო მშენებლობის განხორციელების გამო დაჯარიმებულ იქნა, ხოლო ერთი ფიზიკური პირის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაგზავნილ იქნა ქედის მაგისტრატ სასამართლოში განსახილველად. მშენებლობის ნებართვის გარეშე მიმდინარეობდა 3 (სამი) ობიექტის მშენებლობა, რის გამოც გაიცა გაფრთხილების აქტი და 3 (სამი) მითითება. ამავე პერიოდში სამსახურის მიერ გამოტანილი იქნა 2 დადგენილება, გაცემულ იქნა 2 (ორი) შემოწმების აქტი და უწყება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე. ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუფთავების სამუშაოები შპს ქედის ,,კომუნალურსერვისი"-ს სამსახურთან ერთად დაბა ქედის ტერიტორიაზე.

სამსახური ანხორციელებს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე მეწყერსაშიშ ზონებში არსებული კერძო საცხოვრებელი სახლებისა და ტერიტორიების ვიზუალური გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ადგილზე გასვლას და შემოწმებას. საანგარიშო პერიოდში შემოსული 12 განცხადებიდან შესწავლილი და შედგენილი იქნა ხარჯთაღრიცხვა 9 საცხოვრებელ სახლზე, რის შემდეგ შედგენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნა შესაბამის სამსახურებს. ასევე შესწავლილ იქნა საფრთხის შემცველი მაღალტანოვანი ხეების მდგომარეობა გადაბელვის შესახებ დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში, სოფელ ხუნკუდის საავტომობილო გზის დასაწყისში და სოფელ ორცვის არასრული საჯარო სკოლის მიმდებარედ.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სამსახურმა დროულად მოახდინა რეაგირება შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე. ყველა მათგანს დროულად გაეცა პასუხი.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ქონდა თუ არა ლიცენზია გაცემული მუნიციპალიტეტს ინერტულ მასალების მოპოვებასთან დაკავშირებით და არაკანონიერ მოპოვებაზე რა რეაგირების განხორციელება შეუძლია ზედამხედველობის სამსახურს.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა სოფელ დოლოგანში არსებული ინმერტული მასალების არაკანონიერი მოპოვების თაობაზე ისაუბრა და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, დროულად მოახდინონ რეაგირება, რათა დოლოგნის ხიდის დანგრევის საშიშროება წარმოიქმნება, სოფელ წონიარისი ხიდის მსგავსად.

მომხსენებელმა სულიკო სურმანიძემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს, მხოლოდ დელეგირებული უფლებოსილება ჰქონდა და მასზე კონტროლს გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებდა.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ აღნიშნა, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მეორე კვარტლის ანგარიში ანალოგიური იყო 27 მაისს განხილული პირველი კვარტლის ანგარიშისა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 3 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე და შორენა კარანაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: N:გ-95.95222103)

5. მოისმინეს: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული (სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული) ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მომხსენებელმა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ეკატერინე ქაჯაია-კომახიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული (სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული) ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი №12-95222073-95, 26.07.2022.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა შორენა კარანაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხა ვის მოხმარდა და დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით რა ღონისძიებებს ანხორციელებს მუნიციპალიტეტი. აქვე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა რაიმე განსხვავებული პროექტი ცალკე მუნიციპალიტეტს ქონდეს შემუშავებული.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, 2022 წლის პროგრამებსა და პროექტებზე თუ მიმდინარეობს მუშაობა და მგავსი საკითხების განხილვა რამდენად ხდება ქედის

მუნიციპალიტეტის მერთან. აქვე შემოვიდა წინადადებით, კარგი იქნებოდა ქედის მუნიციპალიტეტს დაენერგა მუნიციპალიტეტში მხცოვრებ წარჩინებულ სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა, რაც იქნებოდა ადგილობრივი ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლებისათვის.

მომხსენებელმა ეკა ქაჯაია-კომახიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხით ხდება ტკბილეულის შეძენა და მომლოცველებზე მილოცვა სალოცავებში, რაც შეეხება ახალი პროექტების განხორციელებას სამომავლოდ იქნება დაგეგმილი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 3 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე და შორენა კარანაძე) ;

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: N:გ-95.95222101)

6. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა გულადი წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-952282-95, 27.07.2022 წელი) და განმარტა, რომ შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-ს ადმინისტრაცია დღეის მდგომარეობით განთავსებულია დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N13-ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შენობის, მეორე სართულზე არსებული 83,9 კვ. მეტრი ფართში (ს/კ 21.03.33.038.01.503), რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 59752,0 (ორმოცდაცხრამმეტი ათას შვიდას ორმოცდათორმეტი) ლარს. ხოლო დასახელებული ფართი დღეის მდგომარეობით შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-ზე არ არის გადაცემული, ამიტომ მიზანშეწონილია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს შესაბამისად, გადაეცეს დასახელებული ქონება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წევრებმა.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: N:გ-95.95222102)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 14:15 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე